რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".
Телефонъ № 363

## ტელეფონი რედაქციისა № 363.

სადღესასწაულო მშვენიერი საჩუქრები

## „აღმოსავლეთის მაღაზია"

იოსებ მერკვილაძისა

(ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ზუბალოვის სახლებში, სემინარიის პირდაპირ)

იყიდება კავკასიისა და იაპონიის საუცხოვოდ დამზადებული ნაწარმოები სადღესასწაულოდ მისართმევი მშვენიერი საჩუქრები, ოქროთი მოვარაყებული ყუთები; ძვლისა, რქისა, ბრინჯაოსი და ვერცხლის ნივთები. მრავალი ნაბდები ქალისა და კაცისა, საგეჟურები (პერელენკები), ჩაბალახები, მათრახები, ქამარ-ხანჯლები, ხმლები, როგორც დიდებისა ისე ყმაწვილებისა. კახური მშვენიერი ლეჩაქის არშიები.

აბრეშუმეულობა ჩინეთისა და იაპონიისა; დამზადებული ხალათები, ჯუბები, იუპკები, თავსაფრები, მრავალი ცხვირსახოცები, ფანზა თეთრეულისათვის, ჩესუნჩა და სხვა მრავალი.

მაღაზიას აქვს სამაგალითო სამკერვალო სახელოსნო, სადაც მზადდება საუცხოვო ქართული და საზოგადოდ კავკასიური ტანისამოსი.

აქვე იყიდება მრავალი იმერული, მეგრული, დიგორული და ლეკური შალები, თივთიკები და სხვა და სხვა.

(6—2)

სადღესასწაულო მშვენიერი საჩუქრები

სადღესასწაულო მშვენიერი საჩუქრები

სადღესასწაულო მშვენიერი საჩუქრები

Магазинъ

## О. ЗИБЕРТА

*Дворцовая.*

Гравюры, фотографіи и платинотипы съ произведеній ИЗВѢСТНЫХЪ ХУДОЖНИКОВЪ фирмы Буссо, Валадонъ и К° въ Парижѣ, а также Берлинскаго и Мюнхенскаго фотографич. обществъ.

ЧЕКАННОЙ РУЧНОЙ РАБОТЫ

серебряныя вещи фабрики Мюллеръ въ Ригѣ.

Большой выборъ: *альбомовъ дорожныхъ и дамскихъ* НЕССЕСЕРОВЪ, БЮВАРОВЪ, ПОРТЪ-МОНЭ, ПОРТФЕЛЕЙ и т. под., *Мельхіоровыхъ вещей*, издѣлій изъ *слоновой кости* и т. д. и т. д.

**Заведеніе для переплетныхъ и галантерейныхъ, какъ художественныхъ, такъ и простыхъ работъ.**

(40—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. ზუგინოვი**. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. ზუგინოვი**. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო**. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.** (წ).

## სამკურნალო და ამბულატორია ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ზ თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. კ. ზერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი **ქალი მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი **ს.ზ. თოფურია.**

(წ.)

ქართული თეატრი

1896 წ. კვირას, 22 დეკემბერს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ავალიშვილისა, და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება

## იაკობელები

ანუ

სამეფო ტახტისათვის

დრ. 5 მოქმედ. თარგ, პ. ყიფიანისა და ყიფშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარეთლისა, კუნდელი, ბბ. ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, მარჯანიშვილი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, თამაზიშვილი, გვარამაძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**დასაწყისი 8 საათზე**

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.

ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

Вышла изъ печати и продается новая книга:

## ЭСКИЗЫ И ЭТЮДЫ

Ил. Хонели (И. Л. Бахтадзе).

Содержаніе: Отъ автора.—„Доглаури".—Быль—Какъ „въ старину живали дѣды".— Князь-отщепенецъ. — Рамхотъ.— Горе Исаіи.—Въ мірѣ фантазіи.—Легенда о Гандегили. — Амцуха-леки.— Смерть.— Сновидецъ.—Дервишъ.—Имеретинскій катеръ.—На цѣпи.—Кулисъ-карскій кюре.— Спасенная святыня.

ЦѢНА 1 РУБЛЬ.

Съ требованіями обращаться: въ контору редакціи „Кавказа", въ канцелярію „Общества распространенія грамотности среди грузинъ", а также въ книжный магазинъ г. Бѣгичева.

Въ Кутаисѣ изданіе продается въ книжныхъ магазинахъ гг. Чиладзе и Церетели.

Печатается и скоро выйдетъ въ свѣтъ брошюра того-же автора: „Къ 100-лѣтію Крцанисской битвы".

Содержаніе:—Къ 100-лѣтію Крцанисской битвы—Знамя Азатъ-Хана.—Герой Аспиндзи предъ судомъ „Хечагога".

ЦѢНА 30 КОП.

## კანონი და მთავრობის განკარგულება.

ტფილისის საგუბერნიო მმართველობა. საგუბერნიო მმართველობის საქმეთა მწარმოებელი ნიკოლოზ აბრასიმოვი გადაყვანილ იქმნა სახაზინო პალატაში სტოლის უფროსად, ხოლო მის ადგილას დაინიშნა ტიტულიარნი სოვეტნიკი ყიფიანი.

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა".

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან").

18 დეკემბერი.

**ბელგრადი.** ახალი კაბინეტი: სიმიჩი—მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრი, მიშკოვიჩი—სამხედრო მინისტრი, ვლადიმიროვიჩი—საზოგადო საქმეთა მინისტრი, ვუიჩი—ფინანსთა მინისტრი, მიკა გეორგიევიჩი—შინაგან საქმეთა მინისტრი, ანდრონიკ ალიჩი—მინისტრი სარწმუნოებისა, მილევანოვიჩი—იუსტიციის მინისტრი.

**სოფია.** სტამბულოვის საქმე: ტიუფიქჩევის ვექილი ამბობს: საქმის გარჩევა ამტკიცებს, რომ მთავრობას სურს დასაჯოს ბრალდებულნი. მოწმეთა ჩვენება გამოწვეულია საპოლიტიკო მოსაზრებით და იმედით, დაპირებულს ჯილდოს 10,000 ფრანკს მივიღებთო. ტიუფიქჩევი მკვლელი არ არის, არც წამქეზებელი, ამიტომ ვექილი თხოულობს მის გამართლებას. გეორგიევის ვე-

ქილმა გაარჩია სტამბულოვის წერილი, რომელიც ბრალსა სდებს მთავრობას და მთავარს. ვექილმა სთქვა: ეს წერილი გამოწვეულია საპოლიტიკო მტრების შიშით. მთავრობას ყოველთვის შეეძლო სამართალში მიეცა სტამბულოვი და დაეუძლურებინა იგი და ამიტომ მკვლელობას არ მოჰკიდებდა ხელსა. გეორგიევი, რომელიც 1885 წლიდგან სცდილობს მაკედონიის განთავისუფლებას, ამ საქმეში უდანაშაულოა და უნდა გამართლდეს კიდეც.

**ლონდონი.** გაზ. „Times“-ს სწერენ მელბურნიდგან: სამხრეთ ვალისში ქარიშხალმა გაანადგურა ქალაქი ნიუ-ვერტირი. თითქმის ყველა სახლები დანგრეულია. ქარიშხალმა ორი სახლი ჰაერში აიტაცა და ნაკუწებად აქცია. ქარიშხალმა კაცები დიდს მანძილზე მოიტაცა. მრავალი უბედურება მოხდა. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ არის.

### გუშინდელი დეპეშა

18 დეკემბერი.

**ლონდონი.** რომიდგან იწერებიან: ესპანიის მთავრობა დაეკითხა პარიზისა, ლონდონისა და რომის კაბინეტებს, როგორ მოიქცევით, თუ ვინიცობაა ჩვენ ომი გამოვუცხადეთ ამერიკის შეერთებულს შტატებსაო. საფრანგეთმა და ინგლისმა უპასუხეს, ჯერ-ჯერობით არაფრის თქმა არ შეგვიძლიანო, ხოლო იტალიამ უპასუხა: თუ გსურთ მორიგებაში დაგეხმარებითო.

**ბუქარესტი.** კამათობის დროს გრიგორი სტურძამ სთქვა: რუმინიას მხოლოდ რუსეთის იმედი უნდა ჰქონდესო. ამაზედ გარეშე საქმეთა მინისტრმა სტოიცესკომ უპასუხა, რომ რუმინიასა და რუსეთს შორის ამჟამად მშვენიერი დამოკიდებულება არის, მაგრამ ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რომ მარტო რუსეთთან კი არა, მთელს ევროპასთან გვქონდეს კეთილი განწყობილებაო.

## ახალი ამბავი

*** **სამეურნეო საზოგადოების** კრება დანიშნულია დღეს, 20 დეკემბერს, საღამოს 8 საათზედ. კრება განიხილავს მომავალ წელს საზოგადოების გაზეთის გამოცემის საქმეს და სხვ.

კრებას შეუძლიანთ არა წევრნიც დაესწრნენ.

*** **უხვი შეწირულება.** კიევიდგან იწერებიან, რომ საკომერციო სწავლა განათლებისათვის შეუწირავთ იქაურ მცხოვრებლებს: ნ. ტერეშჩენკოს ასი ათასი მანათი, ლეო ბროდსკის ორმოცდა ათი ათასი მანათი.

*** **ქუთაისის ბანკი და გ. ჩიკვაიძე.** ქუთაისის ბანკის რევიზიის გამო, რომელმაც ამ ბანკში მრავალი უწესობა აღმოაჩინა, პეტერბურგის მეფელეტონე ბუკვა სწერს:

„გ-ნმა ჩიკვაიძემ სულ სხვა გვარად მოაწყო თავის ბანკის საქმე. ჩიკვაიძე ბანკიდგან ფულს აძლევს სესხად და. აღარ ართმევს თავის მეგობრებს, მომხრეებს და მეკენჭეებს. რევიზორი დარწმუნდა, რომ ბანკის მმართველობა განზრახ აძლევს ყოველ გვარ შეღავათს მსესხებლებს, ოღონდა არჩევანების დროს მომხრეები იყოლიოს“. ჩიკვაიძე ბანკისავე ფულით მომხრეებს იძენს. ქუთაისის ბანკში ვალაზედ ფულის შეტანას ჩიკვაიძე მხოლოდ იმათა სთხოვს, ვინც წინააღმდეგობას უწევს ბანკის თავ-ნება დიქტატორს ჩიკვაიძეს. რა თქმა უნდა, თვითონ ჩიკვაიძე ბანკისაგან ნასესხ ფულს ბანკს აღარ უბრუნებს. რევიზიის დროს ჩიკვაიძეს ორ ვადით აღებული სესხი სრულებით არა ჰქონდა ბანკში შეტანილი. ჩიკვაიძე იმ ხარაზს არა ჰგავს, რომელიც თითონ უწაღოთ დადის. არა, ეს ისეთი ხარაზი გახლავთ, რომელსაც ერთ წყვილ წუღაზედ კიდევ მეორე წყვილი წუღა აცვია. ერთი კიდევ საკვირველი თვისება სჭირს ამ კერძო ვექილს ჩიკვაიძეს—იგი ბანკს უნარჩუნებს ხოლმე ისეთს მამულს, რომელიც ათასჯერ არის დაგირავებული. როდესაც მამული აღარაფრადა ღირს, იგი გახდება ხოლმე... ბანკის საკუთრებად. ქუთაისის ბანკს ეხლა დიდ-ძალი მამულები აქვს. 127 საკუთარ მამულიდგან, რომელიც ორ მილიონ მანათამდე ღირს, ბანკს ჰქონია წმინდა... **ზარალი 271,785** მანათი! ქუთაისის ბანკისთანა ბანკი მთელს ქვეყნიერებაზედ არ მოიპოვება: ამ ბანკმა ფული გაასესხა და თითონვე ხარჯს ეწევა, რომ ფულის მსესხებელმა ფული აღარ დაუბრუნოს ბანკსა“.

*** **ნიხრი ხე-ტყის მასალისა.** მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ბრძანებით ყველა სახელმწიფო ქონებათა მმართველობამ უნდა შეადგინოს ნიხრი, თუ რა ფასად უნდა იყიდებოდეს ხე-ტყის მასალა.

*** **ქუჩების უვარგისობა მთაწმინდაში.** არც ერთს მიყრუებულ სოფელში არ მოინახება ისეთი ყოვლად უვარგისი და ტალახიანი ქუჩები, როგორიც არის, მთაწმინდაში, მეორე და მესამე ხევის ქუჩები. ტალახის დროს მარტო ჯამბაზი აბელა თუ გაივლის ამ ქუჩაზე, თორემ სხვა ვერავინ...

რამდენჯერმე კიდეც სთხოვეს ამ ქუჩის მცხოვრებლებმა ქალაქის გამგეობას: ნება მოგვეცით ჩვენის ფულით შევაკეთოთ ჩვენი ქუჩებიო, მაგრამ ჩვენ რომ ქალაქის გამგეობა გვყავს... ამ გაუვალ ტალახებს ისიც დაუმატეთ, რომ ამ ქუჩებზედ ფარნებს არ ანთებენ და... მაშინ წარმოიდგინეთ, რა გაჭირვებაში უნდა იყვნენ ამ ქუჩის მცხოვრებნი..

---

### ფაქტების საყურადღებოდ.

დემიდოვები

და

მადნეულობის წარმოება რუსეთში.

(შემდეგი *)

გამდიდრებულ-გაუნათლებელ ვაჭბატონს, რომელიც აღარაფერ მუშაობას აღარ დაეძებს, მოწყენილობით თავში ბევრი ახირებული აზრი მოუვა. ამგვარი კაცები ნიადაგ რაიმე „შტუკების“ მოგონებაში არიან, უსათუოდ ისეთი ხეპრული, ახირებული რამ უნდა ჩაიდინონ, რომ ყველა აალაპარაკონ და თვითონაც ამით ისიამოვნონ. ზოგნი მათგანნი იმისთანა ოინებს გამოიგონებდნენ, რომ ბევრ წვალებას და შეურაცხყოფას აყენებდნენ საწყალ, დაჩაგრულ ხალხს, მაგრამ მილიონების პატრონ კაცს, საქმე სხვა არა ჰქონდა რა და თუ არა სხვაზედ დაცინვით და გაჯახირებით—მაშ რითი უნდა გაეტარებიათ დრო?

ამგვარ «შტუკების» და „ჩუდაკების“ რიცხვში იმ დროს პროკოპი დემიდოვს დიდი სახელი ჰქონდა გათქმული.

თავისი ახირებული ხუმრობით და მასხრობით პირველი ცოლი მოინელა და დამარხა. თუმცა ბოროტკაცი არ იყო, მაგრამ ყოველ მის მოქმედებაში გამოიხატებოდა სურვილი დაცინვისა და ადამიანის აბუჩად აგდებისა. მოგითხრობთ რამდენსამე შემთხვევას იმის ცხოვრებიდგან.

ერთხელ ერთი მოხუცი დედაკაცი დაესესხა ას თუმანს.

— მოგცემ, მაგრამ ერთის პირობით: სულ თითო შაურიანებით და სამ-სამ კაპეიკიანებით, თუ დაითვლი თითონ, აიკიდებ ტომრით ზურგზედ და წაიღებო.

მაშინდელი შავი ფული მძიმე და დიდრონი იყო... მოჰყვა საწყალი დედაბერი თვლას. პროკოპი უკან ხელებ-დაწყობილი დადის ოთახში და განგებ ხელს წაჰკრავს მოგროვილ და დათვლილ ფულს—ახლა კიდევ ხელ-ახლად დაიწყებს დედაკაცი თვლას. მოსდის ოფლი, იქანცება—პროკოპი უყურებს და სიამოვნებს. ბოლოს იმასაც კი შეეცოდა.

— იცი რა, დედი, მგონია ოქროთი გირჩევნია მოგცე!

— სწორეთ, შვილო, თორემ ამას ვერ დავთვლი სიკვდილამდის... მისცა ოქროთი და გაისტუმრა...

პროკოპიმ გამოაცხადა, რომ ვინც ჩემს სახლში—ლოგინში ზურგზედ დაწვება ერთის წლის განმავლობაში, არც გადაბრუნდება და არც გადმობრუნდება—დავაჯილდოვებო...

მსურველი ბევრი გამოჩნდა.—დააწვენდნენ და უთვალყურებდნენ—თუ აასრულებდა რამდენსამე ათას მანათს მისცემდა, თუ არა გაამათრახებდა და გამოაგდებდა სახლიდგან.

ხალხი გაფაციცებით მოელოდა იმის „ოინებს“. ერთხელ ის გამოვიდა მოსკოვის ქუჩაზედ სასეირნოთ სულ წითლათ შეღებილ ეტლით. ჯერ ამ ეტლში შებმულ იყო ორი სულ პატარა ცხენი, ამათზე წინ ორი უზარ-მაზარი ცხენი და სულ წინ კიდევ ორი პატარა ცხენი. უზარმაზარ ცხენებზედ შეესვა მეეტლეთ ქონდრის, ჯუჯა-კაცი—პატარა ცხენებზედ კი ისეთი მაღალი, რომ ფეხები მიწაზედ ეთრეოდა. ყველა ცხენებს, მოსამსახურეთ და მეეტლეთ დიდი სათვალეები ჰქონდათ ცხვირებზედ... სათვალეები მაშინ შემოიღეს და პროკოპისაც ამგვარად სურდა გაეჯავრებინა ისინი, ვინც კოხტაობის გამო სათვალეებს ატარებდა.

იმას ძალიან ეჯავრებოდა დიდკაცები და არისტოკრატია—ხშირად ისეთ უცნაურ ამბავს ჩადიოდა იმათზედ, რომ დედოფალი ელისაბედის რისხვას გამოიწვევდა.

ერთხელ იმპერატრიცას ფრეილინას გრაფინია რუმიანცოვისას დასჭირდა 500 თუმანი—ვერსად მოიპოვა და პროკოპის დაესესხა.

— მე თქვენი წოდების ქალებისათვის ფული არა მაქვს... თქვენ კანონზედ მაღლა დგეხართ და თუ დროზედ არ მომეცით, ვერავითარ ქაჯის დახმარებითაც ვერ გადაგახდევინებთ.

გრაფინიამ იწყინა, მაგრამ რადგან სხვა სახსარი არა ჰქონდა—კიდევ სთხოვა.

— „კარგი, მოგცემთ—თუ ასეთ ხელ-წერილს მომცემთ:“ „მე ქვემორე ამისა ხელის მომწერი, ვალდებულად ვსთვლი ჩემს თავს დავუბრუნო 5.000 მან. დემიდოვს ერთი თვის შემდეგ.—თუ ვადაზედ ვერ მივეცი, მაშინ დემიდოვს აქვს ნება მიხსენიოს მე დიდ-კაცთა შეკრებულობაში უნამუსო დედაკაცად“.

გრაფინია ძალიან გაჯავრებული მოშორდა, მაგრამ სხვაგან რომ ვერსად იშოვნა დემიდოვის პირობაზედ დასთანხმდა. ვადაზედ ფული ვერ მიიღო პროკოპიმ და სასახლეში ერთს დიდ დარბაზში—დიდი შეკრებილობის დროს ჩადგა შუა დარბაზში და ხმა მაღლა გამოაცხადა: „რუმიანცევისა უნამუსო დედაკაცი არისო“!..

მეორე დღესვე იმპერატრიცას ბრძანებით მისცეს ფულები დემიდოვს და თან რამდენიმე კვირით სასახლეში მისვლა აღუკრძალეს.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 61

ჩვენ გვთხოვენ: მოგვაქციეთ ყურადღება, გვასწავლეთ რამეო. ჩვენც რ ვიცით რითი ეშველება ამ საქმეს? ალაქს პატრონი და გულ-შემატკივარი არა ჰყავს-და... სხვა ვინ რას იშველით?

*** **ქალი დაიკარგა.** 16 დეკემბერს იარმუკაში დადიოდა ბორჩალოს მაზრის მცხოვრების ნიკოლოზ პოპოვის ცოლი. თან ჰყავნდა თავის მრის ძმისწული, 17 წლის ქალი პელაგია, რომელიც სადღაც გაჰქრა. ს ამბავი პოპოვის ცოლმა პოლიციას შეატყობინა. დაკარგულს ქალს დაეძებენ.

*** **გადამდები ავადმყოფობა.** ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, რომ ტფილისში 1 დეკემბრიდგან 17 დეკემბრამდე ავად გამხდარა ყუნთრუშით 20, სახადით 2, შავი სახადით 4 და ხუნაგით 3 სული.

*** **სომხების გადმოსახლება** 9 დეკემბერს ტფილისში კიდევ მოვიდნენ სომხები ოსმალეთიდგან. უმრავლესობა ქალები და ბავშვები არიან.

*** ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი ერთის მზარეულისაგან: „ცნობის ფურცლის“ №-47-ში იყო დაბეჭდილი ფრიად საყურადღებო შენიშვნა მოსამსახურეთა ბედ იღბალზედა. ჩემის აზრით გაჭირვებულ მოსამსახურეთა მდგომარეობას ასე უნდა ეშველოს. შეაგროვონ საკმაო თანხა, ესე იგი გამართონ ხელის მოწერა, მთავრობის ნება-რთვით და ამგვარად დაარსდება მოსამსახურეთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება. სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ ტფილისში იქნება არა ნაკლებ 1500 მზარეული, ამდენივე ლაქია, და არა ნაკლები 500 მოსამსახურე ქალისა. მზარეულმა რომ წელიწადში 3 მ. გადიხადოს, ლაქიამ 2 მ. და დედაკაცებმა 1, პირველ წელიწადსვე შესდგება 8000 მანათი. ამგვარად საზოგადოებას ყოველ წელიწადს ექმნება რვა ათასი მანათი, და რა თქმა უნდა ადვილად შეიძლებს დაეხმაროს თავის გაჭირვებულს, ავადმყოფს და დაუძლურებულ წევრს. საჭიროა მხოლოდ ვინმემ ითავოს ეს საქმე, თორემ, არა მგონია, რომ ვინმემ ზემოდ მოხსენებულ ფულის გადახდაზე უარი სთქვას. საქმე, რა თქმა უნდა, რიგიანად უნდა მოეწყოს. ყოველ წევრს, როდესაც ფულს შემოიტანს მიეცემა შესაფერი კვიტანცია. საზოგადოების ფული უნდა ინახებოდეს ბანკში, საიდგანაც თანხას სარგებელიც მიემატება.

ავტორი ზემოხსენებულ წერილისა ამბობს: საჭიროა მხოლოდ ვინმემ ეს საქმე ითავოსო. ჩვენის მხრით ვიტყვით, რომ ასეთს საქმეებში მოსამსახურეებმა თითონ უნდა იზრუნონ თავიანთ თავზედ და სხვის იმედი ნუ ექმნებათ. ისევ თავიანთ შორის უნდა გამონახონ ცოტაოდნად შეგნებული კაცები, რომლებსაც შეეძლებათ საქმის გაძღოლა და წარმოება.

სასურველია, რომ ჩვენ მიერ აღძრული საქმე, მხოლოდ ცალიერ სიტყვაზედ არ შეჩერდეს და მოსამსახურეებმა მართლა უშველონ როგორმე თავიანთ გაჭირვებულს მდგომარეობას.

*** **ქ. ნუხიდგან.** ამ შემოდგომაზე მოვიდა სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მოხელე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გამოეკვლია: რა ადგილებში რამდენი ბრინჯი ითესება და რა მოსავალს იძლევა. მთავრობას აზრადა ჰქონია ბრინჯის მოყვანის შემცირება, რადგან ამ მცენარეს ბევრი წყალი უყვარს და წყლისაგან დაჭაობებული ადგილები ჰავას აფუჭებენ, რის გამოც ხალხში ციებ-ცხელება და ბევრი სხვა ავადმყოფობა ჩნდება. მეტად სასარგებლო იქნებოდა ამ მოსაზრების ასრულება, რომ წინ დიდი დაბრკოლება არ ედოს. ნუხის მაზრის მცხოვრებნი ორ ნაწილად იყოფებიან: ერთს ნაწილს ბრინჯი სრულებით არ მოჰყავს და ამათ არ შეეხებათ მთავრობის აღნიშნული მოსაზრება; მეორე ნაწილი, რომელსაც მოჰყავს ბრინჯი, მეტად შევიწროებულია უმიწობისაგან და ვერც პური და ვერც სხვა რამ ვერ დაიჭერს იმათთვის ბრინჯის ალაგს, რადგან სხვა მცენარე ვერ მოიცემა ბრინჯის ოდენა მოსავალს და ვერც თვისებით იქნება ბრინჯსავით გამოსადეგი.

ნუხის მიდამოში ეხლა ერთი ინჟენერია და იმის შრომაც უნაყოფოთა რჩება, რადგან არა აქვს მთავრობისაგან საჭირო თანხა. ასეთ გარემოებაში ხალხის უმთავრესი ინტერესი მოითხოვს, რომ სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო, რომლის მიზანსაც შეადგენს ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება, დაეხმაროს და ის თანხა, რომელიც დასჭირდება ბრინჯის მოყვანის შემცირებასა და ამ შემცირებულ წარმოებაზე თვალ-ყურის დევნას, მოახმაროს კავკასიის მთებიდგან ჩამომავალ მდინარეების ნაპირების გამაგრებას.

*** **ქ. გორი. საპიორთა რაზმის მოლოდინები.** აქ უკვე გაისმა სასიხარულო ხმა—უნდა საპიორები მოვიდნენ და დანგრეული ხიდი გაგვიახლონო; იმავ წამს ქალაქის თვითმმართველობისაგან მოხდა განკარგულება, რომ საპიორებისთვის დაემზადებინათ სადგური. ქალაქმა დაუთმო მათ წინანდელი ყაზარმა, რომელიც ეხლა ცარიელი იყო და მხოლოდ ოსმალეთიდგან გადმოსახლებული სომხები იდგნენ. იგინი გადაიყვანეს წინანდელ სამაზრო ციხეში, წმინდა წყალზედ. ყაზარმას დაუწყეს მზადება და შეკეთება, ჩაუსხეს შუშები, გალესეს კედლები. ერთის სიტყვით, პატარძალივით გაალამაზეს, ისე რომ თავის ახალ მდგმურებს ღიმილით ეგებება; მაგრამ მდგმურები, თითქო გული აიცრუვესო, აღარსადა სჩანან. ჯერ იძახდნენ, შაბათს მოვლენო, მაგრამ ეს შაბათიც გავიდა. ჩვენ კიდეც იმედი გარდავიწყვიტეთ, ამ ზამთარს არაფერი გვეშველებაო. ნეტა მართლა ამ მომავალ შაბათს მაინც მოვიდნენ და მოჰხედონ ჩვენ დალუპულებას.

*** **აჯანყება ფილიპეს კუნძულებზედ.** ესპანიაში ცნობები მოსულა, რომ კუნძულ მონდანაოსა და ლიუსონზე მცხოვრებნი აჯანყებულან ესპანელთა წინააღმდეგ. ამბობენ, აჯანყებულთა ჯარი ასი ათას კაცს შეადგენსო. ესპანელებს კი სულ 25 ათასი ჯარის კაცი ჰყავთ, და ისიც ყველანი სანდო არ არიან. ბევრჯერ მომხდარა, რომ ადგილობრივი ჯარი ესპანელებს გადასდგომია. ამიტომ ესპანელები მხოლოდ დიდ ქალაქებს ამაგრებენ, სხვა ყველა ადგილები აჯანყებულების ხელშია.

*** **მეფის საჩუქარი.** გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმმა უბოძა ორდენი გამოჩენილს ექიმს რუს, რომელმაც ეს ორდენი მიიღო და სთქვა: მე პასტერის საბუთებით არ ვხელვმძღვანელობო.

პასტერმა ერთხელ უარი სთქვა პრუსიისაგან ორდენის მიღებაზედ, რადგანაც საფრანგეთსა და გერმანიის შორის მტრობა ჯერ არ მოსპობილა.

---

**გრესსერის გულ-კეთილობა.** პეტერბურგის ქალაქის უფროსი განსვენებული გრესსერი ძლიერ გულკეთილი და სიტყვა მოსწრებული კაცი იყო. აი რასა სწერს მის შესახებ რუსული გაზეთი „პეტერბურგის ფურცელი“.

გრესსერთან ბევრმა იჩივლა: ერთი მედუქნე თავისს მუშტრებს ძლიერ ატყუებს წონაშიო.

ერთხელ გრესსერი ეტლით მიდიოდა იმ დუქნის წინ და დაინახა, რომ დუქნიდგან გამოვიდა პატარა ქალი, რომელსაც რაღაც ეყიდნა. გრესსერი გადმოვიდა ეტლიდგან და ჰკითხა ქალსა:

— ეგ რა მიგაქვს, ქაჯან?

— შაქარი.

— ამ დუქანში იყიდე?

— დიაღ.

— რამდენი იყიდე?

— ერთი გირვანქა.

— კარგი. პატარა ხანს წამოდი დუქანში.

დუქნის პატრონი დიდის მოწიწებით დაუხვდა ქალაქის მმართველს. გრესსერმა შაქარი გამოართვა ქალს, გადასცა მედუქნეს და უთხრა: აბა, ასწონეთ. მედუქნე გაფითრდა, მაგრამ ურჩობა ვერ გაბედა. შაქარი ერთ გირვანქაზე ძლიერ ნაკლები გამოვიდა. გრესსერმა ჰკითხა:

— გირვანქის ფასი აიღე?

— დიაღ.

— აქ ხომ ნაკლებია?

— მაპატიეთ, შემცდა.

— შეგცდა?

— დიაღ, მაპატიეთ.

— ერთი ეს მითხარი: ისეთი შეცდომაც მოგივა ხოლმე, რომ ერთის გირვანქის მაგიერად გირვანქა ნახევარი მისცე მყიდველსა?

— როგორ არა, ხშირად მოხდება ხოლმე.

— კარგი! სულ დიდი თავი შაქარი რამდენს იწონავს?

— ერთ ფუთამდე.

— გადმოიღეთ.

მედუქნემ თავი შაქარი გადმოიღო.

— კარგი ჩაი გაქვთ? მთელი ყუთი?

— გახლავთ, მშვენიერი ჩაია.

— მოიტა.

მედუქნემ მთელი ყუთი ჩაი დასდგა დახლზედ.

— ნახევარი ფუთი კარგი ყავა!

— მზათ გახლავთ.

— ეხლა ყველა ეს ბიჭის ხელით გაგზავნეთ ამ ქალის დედ-მამასთან.

ბიჭმა ყველაფერი მოხვეტა და წაიღო. გრესსერმა უბრძანა:

— იქნება გაუკვირდეთ, როცა მაგას მიუტან, მაგრამ შენ უთხარი: დუქნის პატრონს შეცდომა მოუვიდა, ასეთი შეცდომა ხშირად მოსდისთქო. წადი!

---

## პოლიციის მატიანე

17 დეკემბერს მტკვარში გადავარდა ვიღაც რუსის დედაკაცი, მთვრალი, ასე 48 წლისა. ორთაჭალის ბაღებთან ეს დედაკაცი სეთევზეებმა დაიჭირეს და ეტლით მიხეილის მამკურნალოში გაჰგზავნეს. დედაკაცი გზაში გარდაიცვალა.

—

17 დეკემბერს, არტილერიის ბალკაში, ნაუმოვის სახლთან, პოლიციელმა იპოვნა მიგდებული ბავშვი, რომელიც საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

—

მთავრობა დაეძებს ჯარის კაცს ვასილ სიმონის ძეს ცხოვრებაშვილს, რომელიც 13 დეკემბერს პოლკიდგან წავიდა და მას შემდეგ არსადა სჩანს.

---

## რკინის გზის ამბები.

ამიერ კავკასიის რკინის გზის მატარებლების უფროსს, ბ-ნ ზალატნიცკის მოადგილეს შაიკევიჩს განზრახვა აქვს მომავალ ახალ წლიდგან, ზოგიერთი მატარებლების მიმოსვლა შესცვალოს ამ სახით: ხალხის მატარებლებმა უნდა იარონ № 1 და 2 პატარა სადგურებში შეუჩერებლივ. რადგანაც ჩქარი გასაგზავნი საქონლის პატრონები ხშირად ჩივიან, რომ საქონელი გვიან მოგვდის, გვიფუჭდებაო: თეგზი,

ვილი, და სხვა. ამიტომ ის ჩქარა გასაგზავნი საქონელი უნდა იგზავნებოდეს ყოველ დროს ჩქარი მოსიარულე მატარებლით, რომ პატრონმა დაუყოვნებლივ მიიღოს იმ განცალკევებულ მატარებლისათვის იქნება აგრეთვე ცალკე კონდუკტორები დანიშნული, რომელთაც მიეცემათ ჟამაგირს გარდა ერთი-ორად სამგზავრო ვერსის ფული.

—

რკინის გზის მიმოსვლა. 1897 წლის ნახევრიდგან მთელ რუსეთის იმპერიაში რკინის გზის მატარებლები გაცილებით უფრო სწრაფად ივლიან, ვიდრე ესლა დადიან. საკურიერო მატარებელი საათში გაივლის 75 ვერსტს, ჩქარი 64 ვერსტს, სახალხო 50 ვერსტს.

—

რკინის გზის შემოსავალი. ამიერ კავკასიის რკინის გზის ანგარიშიდგან სჩანს, რომ რკინის გზის შემოსავალი 1895 წელს მაინც წინა წლებთან შედარებით მეტი ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ იმ წლის დამლევს გზა გაფუჭდა და მიმოსვლა მოისპო. 1895 წელს რკინის გზის შემოსავალი იყო 16,834,264 მ., 1894 წელს 15,319,823 მ.; მაშასადამე 1895 წელს 1,514,441 მანათით მეტი შემოსავალი ჰქონია რკინის გზას, ვიდრე წინა წელს.

## მეურნეთა საყურადღებოდ.

ბლეკ-როტი კახეთში. საფილოქსერო კომიტეტისაგან მიღებული ცნობები უფრო და უფრო ამტკიცებენ, რომ კახეთში ახლად ამოჩენილი ვაზის სენი მართლა ბლეკროტია. ამ გვარად მტყუნდება ის ეჭვი, რომელიც ბ. სტაროსელსკიმ და სხვა ჩვენმა მსწავლულმა აგრონომებმა—მოხელეებმა შეიტანეს პროფესორის ბ. ვიალას გამოკვლევაში.

ბლეკ-როტის აღმოჩენა ჩვენში მეტად სამძიმო ამბავია, რადგან ეს სენი ვენახისათვის მეტად საშიშია, ხოლო მისი წამლობა-კი ძნელია და ძვირი.

ამ რამდენისამე კვირის წინად საფრანგეთში, ქ. ბორდოში, მევენახეთა თათბირზედ, გამოკვლეულ იქმნა, რომ ბლეკ-როტისაგან წამლობა შეიძლება მხოლოდ იმისთანა ვენახისა, რომელიც დიდს შემოსავალს იძლევა. ჯერ-ჯერობით წამალი ერთია— 3%-იანი წყალში გახსნილი სპილენძის შაბიამანი, რომლითაც ზაფხულის განმავლობაში 5—6-ჯერ უნდა აპკურონ ვაზი. ამას გარდა ვენახს სხვა, უფრო რაციონალი მოვლა უნდა: ვაზი რიგზედ უნდა იყოს ჩაყრილი და უკეთესია, რომ რქები მავთულზედ იქმნეს გაშვებული; ვენახში ვაზის გარდა არა გვარი მცენარე არ უნდა იყოს დათესილი, მიწასაც უკეთესი გაპატივება სჭირდება.

—

აღკრძალვა კახეთიდგან ვაზის რქის გამოტანისა. საფილოქსერო კომიტეტის შუამდგომლობით სახელმწიფო ქონებათა და მიწად მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს განკარგულება მოახდინოს, რომ კახეთიდგან ვაზის რქის გამოტანა აღკრძალულ იქმნას, რათა ვაზის რქასთან ერთად კახეთს გარეთ ბლეკ-როტიც არ გავრცელდეს. კავკასიის მთავარმართებელმა, რომელსაც სამინისტრო დაეკითხა ამ ღონის ძიებაზედ, თანხმობა გამოაცხადა.

## სასამართლოს მატიანე.

ტფილისის ოლქის სასამართლომ 18 დეკემბერს გაარჩია აგარონოვის საქმე, რომელსაკ ბრალდებოდა ყალბი ანდერძის შედგენა და დამტკიცება. საქმის გარემოება მდგომარეობს შემდეგში: 12 ნოემბერს 1890 წელს ტფილისის 1-ლ გილდის ვაჭარი სტეფანე ტერ-სტეფანოვი გარდაცვლილა და სიკვდილის წინ ყოველივე შეძლება თავის დისა და სიძისათვის უანდერძებია, მაშინ როდესაც ცოლი დაურჩენია უარაროდ. ამ ანდერძის დასამტკიცებლად მოუწვევიათ ნოტარიუსის მოადგილეთ მყოფი აგარონოვი, რომელსაც უნახავს მომაკვდავი ტერ-სტეფანოვი და მისის სიტყვით დაუწერია ანდერძი; მაგრამ აგეთი ამბავი არ იყაბულა ტერ-სტეფანოვის ქვრივმა და სამართალს მიჰმართა. ტფილისის სასამართლო პალატას დაურღვევია ანდერძი, რის მიზეზით აგარონოვი პასუხის გებაში მიუცია. ტფ. ოლქ. სასამ. განარჩია ეს საქმე, აგარონოვი დამნაშავედ იცნო და 13 თვით პატიმართა როტაში გაგზავნა მიუსაჯა.

# განცხადებანი

გურიის ამხანაგობისაგან

ა) ვსთხოვთ პატივცემულ წევრთ, გურიის ამხანაგობისა, რომელთაც სრულად არ აქვთ საწევრო ფული, ოცი მანათი, შემოტანილი ამხანაგობის კასაში, კეთილ ინებონ და ამა წლის დამდეგამდე წარმოგვიდგინონ დანარჩენიც და შეავსონ, თანახმად წესდებისა.

ბ) ვსთხოვთ აგრეთვე ბ. ბ. აგენტებს ხსენებულ ამხანაგობისას, რომ, რაც შეიძლება დაჩქარებით, მოგვაწოდონ ყოველივე ანგარიში და საავგენტო წიგნები ამხანაგობისა.

ეს ძლიერ საჭირო არის, რადგან ამხანაგობის გამგეობას სურს ყოველივე ანგარიში ამა წლისა, წევრთა სია და სხვა ბეჭდვითი სიტყვით აუწყოს საზოგადოებას.

ამასთანავე დიდს მადლობას ვწირავთ შემდეგ მოხსენებულის ჩვენი ამხანაგობის აგენტებს, რომლებმაც ოცობით და ორმოცობით წევრები მოუპოვეს ამხანაგობას და ცდილობენ კიდევ შეძლებისა და გვარად ყოველივე დახმარებას: ქ-ბნთ გოგოლი და ნინა ბერეჟიანებისას, თავ. დ. და ა. მაჭუტაძეებს, სილევან კალანდაძეს და სოლომონ დოლიძეს.

ამხანაგობის მმართველი კ. თავართქილაძე.

(1—1)


ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ

на политическую, общественную и литературную газету

„КАЗБЕКЪ"

(второй годъ изданія),

Выходитъ по вторникамъ, четвергамъ и воскресеньямъ, а по средамъ, пятницамъ и субботамъ (по мѣрѣ накопленія матеріала)—прибавленія, въ коихъ печатаются телеграммы, справочныя свѣдѣнія и объявленія.

**Подписная цѣна:**

| съ доставкою на домъ во Владикавказѣ: | | съ пересылкой по почтѣ иногороднымъ: | |
|---|---|---|---|
| на 12 мѣсяцевъ | 6 р. 00 к. | на 12 мѣсяцевъ | 7 р. 00 к. |
| „ 6 „ „ | 3 р. 50 „ | „ 6 „ „ | 4 р. 00 „ |
| „ 3 „ „ | 2 р. 00 „ | „ 3 „ „ | 2 р. 50 „ |
| „ 1 „ „ | 0 р. 75 „ | „ 1 „ „ | 1 р. 00 „ |

Во избѣжаніе замедленія высылки газеты, требующей много времени на заготовленіе адресовъ, контора газеты проситъ гг. иногородныхъ подписчиковъ подписываться заблаговременно, адресуя свои требованія въ гор. Владикавказъ, въ редакцію газеты „Казбекъ". (3—3)

**Открыта подписка на новую большую ежедневную въ С.-Петербургѣ газету**

„МІРОВЫЕ ОТГОЛОСКИ"

**1897 года,**

газету политическую, литературную, научную, общественную, финансовую и экономическую, **безъ предварительной цензуры**. Всѣхъ нумеровъ выйдетъ 360 въ годъ.

**Программма:** 1. Руководящія статьи по разнымъ вопросамъ. 2. Телеграмы отъ собственныхъ корреспондентовъ въ Россіи и за-границей, равно отъ разныхъ телеграфныхъ агентствъ. 3. Статьи и извѣстія по вопросамъ врутренней и международной политики, а также статьи научнаго и практическаго содержанія по разнымъ отраслямъ. 4. Обозрѣніе движенія русскаго и иностраннаго законодательства и государственнаго управленія. 5. Церковный отдѣлъ—духовная литература. 6. Историческіе, бытовые и этнографическіе очерки. Жизнеописанія замѣчательныхъ дѣятелей. 7. Статьи и извѣстія по разнымъ отраслямъ финансовой и экономической дѣятельности въ Россіи и за-границей. 8. Обозрѣніе событій государственной и общественной жизни. Хроника и разныя извѣстія. Некрологи. 9. Областныя обозрѣнія и корреспонденціи изъ Россіи и другихъ государствъ. Отчеты о засѣданіяхъ различныхъ обществъ русскихъ и иностранныхъ. 10. Обзоръ текущей журналистики и замѣчательныхъ явленій литературы русской и иностранной. Критическія статьи о вновь появляющихся въ Россіи и за-границей книгахъ и сочиненіяхъ. 11. Статьи и извѣстія по вопросамъ искусства; новости театра, музыки, ремеслъ и проч. 12. Изящная словесность—повѣсти, романы, разсказы, сцены, стихотворенія, мемуары и путешествія. 13. Судебная хроника—русская и иностранная; судебныя рѣшенія и ихъ обсужденіе. 14. Статьи и извѣстія о движеніи повсемѣстно въ Россіи и за-границей промышленности, сельскаго хозяйства, торговли, горнаго дѣла и торговаго мореходства. 15. Статьи и извѣстія о дѣйствіяхъ русскихъ и иностранныхъ акціонерныхъ комиссій и разныхъ видовъ товариществъ. 16. Биржевыя извѣстія внутреннія и заграничныя. Ярмарки. Урожаи. 17. Рисунки историческіе и бытовые, соотвѣтствующіе содержанію статей. Портреты замѣчательныхъ дѣятелей. 18 Справочный отдѣлъ. 19. Казенныя и частныя объявленія.

**„Міровые Отголоски"** будутъ выходить въ объемѣ отъ одного до двухъ листовъ формата бывшей газеты „Голосъ" и будутъ печататься подобнымъ же крупнымъ и четкимъ шрифтомъ.

Всякаго рода рисунки и портреты будутъ печататься какъ въ текстѣ газеты, такъ и на особомъ полулистѣ, выходящемъ еженедѣльно по воскресеньямъ.

**Подписная цѣна въ Россіи:** безъ доставки на годъ—14 р., 6 м.—8 р., 3 м.—4., 1 м.—1 р. 50 к. Съ доставкой по городской почтѣ на годъ—16 р., 6 м.—9 р., 3 м.—4 р. 50 к., 1 м.—1 р. 80 к. Съ пересылкою иногороднымъ на годъ—17 р., 6 м.—10 р., 3 м.—5 р. 50 к., 1 м.—1 р. За-границею: на годъ—26 р., 6 м.—14 р., 3 м.—8 р., 1 м.—3 р.

**Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ:** для служащихъ—по соглашенію съ конторою чрезъ ихъ казначеевъ, для неслужащихъ—на слѣдующихъ условіяхъ: 6 р. при подпискѣ, 6 р. въ концѣ марта и 4 р. въ концѣ августа для городскихъ, 7 р. при подпискѣ, 7 р. въ концѣ марта и 3 р. въ концѣ августа для иногородныхъ подписчиковъ.

**Подписка принимается:** въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ редакціи „Міровыхъ Отголосковъ," Фонтанка (уголъ Лештукова переулка), домъ № 80, а также въ книжныхъ магазинахъ: Фену и К°, Невскій пр. 40, М. М. Ледерле, Невскій пр., 42 и Н. П. Карбасникова, Литейная ул., 46; въ Москвѣ—въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова, Моховая, домъ Коха, и въ Варшавѣ,—въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова, Новый Свѣтъ, 69.

Редакторъ-издатель *К. В. Трубниковъ.*

(3—1)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го Декабря, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხოჯ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია